№ 163, ივლისის 31, ოთხშაბათი. 1866—1885 ივლისის 31, ოთხშაბათი. № 163.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ყველობაზედ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს ხახასებრივად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს აკტრის.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლეგამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

სახელი სხვაა და საქმე სხვა

თბილისი, ივლისის 31-ს.

ჩინებული დანიშნულება აქვს და ჩინებული სახელიც. მომრიგებელ-მოსამართლეს. მან უნდა მშვიდობა ჩამოაგდოს მოდავეთა შორის, მან უნდა მოარიგოს, შეარიგოს და შეარიგოს საჩქაროდ, საქმის გადაუდებლად, ისე რომ არც ერთ მხარეს აღარ დასჭირდეს უმაღლესს ინსტანციაში გადასვლა და საქმის გაგძელება დროისა და ხარჯის ზედ-დართვით. ესეთია დანიშნულება მომრიგებელ-მოსამართლისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა-დასხვა მიზეზების გამო, იგი ხშირად დანიშნულებად რჩება და საქმე არ ეთანხმება იმის წადილს, ვინც პირველად ეს დაწესებულება შემოიღო.

მომრიგებელმა-მოსამართლემ საფუძვლიანად უნდა იცოდეს ხალხის ჩვეულება, ზნე, შეხედულობა სხვა-დასხვა დანაშაულზედ; იცოდეს ის «ჩვეულებრივი უფლება», რომელიც ათასწლობით არის შემუშავებული და რომელზედაც დამყარებულია ხალხის იურიდიული მეცნიერება. ზოგი იურისტები უარ-ჰყოფენ ხალხისაგან შემუშავებულს კანონდებას, მაგრამ მათ ავიწყდებათ ის ხანგრძლივი ვადა, რომლის განმავლობაშიაც ხალხი თავის პრაქტიკული შეხედულობით, თავის ინსტინქტიური თანაგრძნობით კეთილისადმი და ბოროტებისადმი ზიზღით იმისთანა ჩვეულებას ითვისებს, რომელიც ხშირად იდეალია სამართლიანობისა; და თუ მოსამართლე არ შეუტყვია ეს საუკუნეებით ხალხის მეხსიერებაზედ მძივსავით ასხმული კოდექსი შინაური იურისპრუდენციისა, იგი ნახევრობითაც ვერ ასრულებს თავის საგანგებო დანიშნულებას.

მაგრამ ამ უმთავრესის მიზეზის გარდა, სხვა მიზეზებიც ბევრნი უშლიან მომრიგებელ-მოსამართლეს თავის საქმის შესრულებას. მან უნდა სამსახურის დროს რამდენიმე თაბახი ქაღალდი დასწეროს და ამ უმადურ საქმეში მოთმინება შემოილიოს, გული წაიხდინოს და სხვა უფრო ნაყოფიერს შრომას ასცდეს; მან უნდა თვალ-ყური ადევნოს სხვა-და-სხვა ჩასაწერ დავთრებს და ანგარიში მისცეს, სადაც ჯერ არს. მიუმატეთ ამას ისიც რომ კანონ-მდებლობა გაიძვერა მომჩივან-მოპასუხეთ გზას აძლევს საქმის გადადებისათვის თითქმის დაუსრულებლად და ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ შორს დააყენეს ეხლანდელი მომრიგებელი-მოსამართლე იმ იდეალთან, რომელმაც საქმე ფიცხლავ უნდა გადასწყვიტოს, მიუდგომლად, მიუფერებლად და რომელმაც არ დაიიწყოს რომ მისი უმთავრესი დანიშნულება მორიგებაა, სიამტკბილობის ჩამოგდება მოდავეთა შორის.

თუ მომრიგებელს მოსამართლეს ხელს შეუწყობენ და იმ საქმეებს ააცდენენ თავიდამ, რომელიც მას სრულიად არ შეეფერება; თუ ამ პატივსაცემ ადგილზედ იმისთანები იქმნებიან, რომელნიც ხალხის ჩვეულებაში «ჩახედულნი» არიან, მაშინ შარშანდელს თოვლსავით გაჰქრება ის საზიზღარი ბრბო ცრუ ადვოკატთა, რომელნიც ამ ჟამად სასამართლოებში ხელებს ითბობენ და თავიანთ კეთილ-დღეობას ამყარებენ იმაზედ, რომ ხალხი შორს დააყენეს მომრიგებელ-მოსამართლესთან და მოსამართლე ხალხთან და თითონ კი ერთსაც ახლო უდგანან და მეორესაც...

ყვირილიდგან ვარძიამდის

(მგზავრის შენიშვნები)

ძღინარე ყვირილის მარჯვნივ მიიკლაკნება თეთრი ლენტის მგზავსად გზა-ტკეცილი, რომელიც მრავალ ახლო-მახლო მდებარე სოფლებს ჩაუვლის და იკარგება ამაყურად გადმომცქერალ მთების სივრცეში. სწორედ ამ გზას ვადექით მე და ჩემი მეგობარი ამ ორის დღის წინიდ, როდესაც ნამეტანის სიცხისაგან შეწუხებულნი წაედით სოფლად «სულის მოსაბრუნებლად», როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში. ბაშორდები თუ არა დაბა ყვირილას,—მაშინვე რაღაც სასიამოვნო ჰაერი დაგბერავს. ბარშემო ბუნება კოხტად კოპწია პატარძალივით მოკაზმულია და ამაყურად თავს გიქნევს, თითქო გეპატიჟება თავისკენა. გზის აქეთ-იქით ნაპირებზედ ლრუბელივით შავი ყანებია წამოჯგიმული; მათში გამოჩანს წითელ პერანგა მუშების მოლიმარე პირის სახე, რომელზედაც შეგიძლიათ აღმოიკითხოთ ჩვენი პოეტის სიტყვები:

„ბაზრ, ბური შემოსულა,
ლელავს, ბზინავს ოქროს ფერად,
უფლის თვალი მიგ ტრიალებს,—
მოდით სასეთ, თუ არ გჯერათ!..“

მართლა რომ «უფლის თვალი ტრიალებს» აქაურ ყანებში. წელს ისეთი ყანებია აქეთკენ, რომ გლეხები ორის წლის მოსავალს მოელიან.

ბავუსწორდით ს. ძველთესაც, ეს ის ცოდვილი სოფელი გახლავთ, სადაც ამ ერთის წლის წინედ 17 წლის ყმაწვილი კაცი დებმა მძინარე დაკლეს ლოგინში და ამ საქმეს ზოგიერთი ბოლოლაების მანქანებით დღესაც «ქვას ქვეშ» სძინავს. აი ზნეობის დაცემა...

ერთი ამოვიოხრე ნაღვლიანად და გავწიე ჩემს გზაზედ. რამოდენიმე ხნის შემდეგ შევუდექით ერთ აღმართს, რომლის მაღლობზედაც მოჩანდა ხის ეკლესია და მის გვერდით ერთი პატარა ახლად აშენებული ხის სახლი.

— ეს ს. ლახენდარა არისო და ესეც ამ სოფლის ეკლესიაო, მითხრა ჩემმა მეგობარმა. ეს ახალი შენობა რაღასთვის არის მეთქი—ვკითხე მე. ეს სამრევლო სკოლისა არისო. ამაში ჩვენს მღვდელს სურს სკოლა გამართოს და ამით ზნეობითი სწავლა გაავრცელოს ხალხშიო. — როგორ, განა ამოდენა სოფლებს ერთი სასოფლო სკოლა არა გაქვსთ-მეთქი.—სკოლა გექონდა სოფლის კანცელარიასთან გახსნილი, მაგრამ ისევ დავხურეთო...

ბავიარეთ კიდევ რამოდენიმე საქენი და გადავედით ს. ვარძიის სამზღვარზედ. აქედგან იწყება ვარძია მისის შესანიშნავი მონასტერით. ეს სოფელი ბუნებას თითქმის ყოველი სიმდიდრით დაუსაჩუქრებია. მშვენიერი ანკარა ცავ-ცივი წყაროები, ხშირ-ხშირი ვენახიანი ხევები, ანუ ჩვენებურად «დობილო», გარშემო დინჯად გადმომცქერალი უზარ-მაზარი დაკლაკნილი მთაგორები ამ სოფელს მშვენიერ საზაფხულო სამყოფად ჰხდიან. მთები და გორაკები იმისთანა შეხედულობას აძლევენ ამ სოფელს და ისე დინჯად, ისე ამპარტავნულად გადმოსცქერიან მას, რომ უნებლიედ გაგახსენდება პოეტის სიტყვები:

„მის დიდროვანი მაღალი მთები,
შესეთ, თითქო ცას ებჯინებიან!
და შეუპოვრად ტურფა ქვეყანას
ამაყურათა თავს დასცქერიან“.

ერთი სიტყვით ამ სოფელს ყველაფერი ამკობს, მაგრამ დროთა ვითარებას ესეც გაუთელია და როგორც სხვა ჩვენი ბევრი მონასტრები ესეც ბერძნის ბერებს ჩაუგდიათ ხელში და ჰფლობენ.

— ბატონო, იცით, როგორ ჩავარდნია ეს მონასტერი ხელში ბერებს? მკითხა ერთმა ადგილობრივმა მედავითნემ და დაიწყო თავისი მოთხრობა: «სოლომან მეფეს ჰყავდა ერთად ერთი შვილი და როცა მოჰკდომოდა, დაესაფლავებია ამ მონასტრის გალავანში; მაგრამ რადგან მეფე ცოდვიანი ყოფილა, მისი შვილის გვამი მიწას აღარ მიუღია და ზევით ამოუგდია. მეფეს ეს რა ენახა, ძლიერ შეწუხებულა და თვალ-ცრემლიანს დაუწყია მუხლ-მოდრეკით ლოცვა და ვედრება ღვთისადმი, რათა მიეღო წესიერად მიწას მისი შვილის გვამი; მაგრამ

შინაური ქრონიკა

ხმა ისმის, რომ ბ. ი. სულხანოვი, რომელიც თ. ი. ციციშვილის სიკვდილის შემდეგ ბორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად უნდა დარჩენილიყო, უარს ამბობს თავის თანამდებობაზედ და ახალის პირის ამოსარჩევად სამაზრო კრება უნდა მოხდესო.

ამ დღეებში გამოვიდა მეექვსე (ივლისის) წიგნი ჟურნალის «ივერიისა» შემდეგის შინაარსით: ა) ასული ფარაონისა (ისტორ. რომანი) ბეორგ ებერსისა, ნაწილი მეორე; ბ) რძალმული (სურათი ჩვენის ცხოვრებიდამ) ან. თუმანიშვილისა; გ) კოლუმბი და მისი ღვაწლი (დასასრული) წერილი გ. წყალტუბელისა; დ) სახალხო ლექსები; ე) სიმღერა (ლექსი) ი. დ—სა. ვ) შინაური მიმოხილვა და ზ) დამატებაში მასალა ისტორიისათვის.

ეს არის ეხლა მოგვეიდა ბ. ზ. ჰიჭინაძისაგან გამოცემული ბროშიურა: «ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე»; ბროშიურა შეიცავს 33 გვერდს და ღირს 25 კაპეიკი.

ამ დღეებში ცხინვალის ხეობაში მიდის ეკლესიებიდამ და სხვა ძველი შენობებიდამ წარწერების გადმოსაღებად ბ. ი. დავითაშვილი, რო-

მელიც ამ საქმეში საკმაოდ დახელოვნებულია. ძარგი იქნება, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ყოველის ეზით ხელი შეუწყოს ამ მუშაკს.

ᲝᲝᲝ ღვთის წინაშე, გვეზარება კიდეც, რომ ამდენსა ეწერთ ყვირილელ შავი-ქვის მოვაჭრეებზედ, მაგრამ რას იზამთ, რომ ყოველ-დღე ამ საგანზედ წერილები მოგვდის სრულიად სხვადა-სხვა პირთაგან. ალბად უსამართლობა წრეს გადასულა, რომ ამდენი ხალხი კალამს იღებს სინიდისიდამ ხელ-აღებულთა მოქმედების ასაწერად...

ამ დღეებში შავი-ქვის სასწორები შეუმოწმებიათ; რამდენიმე ყალბი აღმოჩენილა; ყალბი აღმოჩენილა ის იარაღი, რომელიც სისწორის იდეალს უნდა წარმოადგენდეს.. სხვათა შორის ყალბი სასწორი ჰქონია ერთს იმისთანა პირს, რომლის უკანონობაზედ სამი აქტია შედგენილი და რომელიც წინად ურცხვად მისულიყო მაზრის უფროსთან და ეთქვა რომ შავი-ქვის მიწონაში უწესოება სწარმოებს და კარგი იქნება მოისპოსო...

ხალხი ისე შეწუხებულა ამ უწესოებით, რომ ამბობს, თურმე, აბაზის მაგიერად სამი შაური მოგვცენ, დავჯერდებით, ოღონდ სასწორში ნუ გვატყუებენო.

ᲝᲝᲝ ამავე ყვირილის გზაზედ საშინლად სტანჯავენ, თურმე, საქონელს ქვის ზიდვის დროს. რომ გაიაროთ გზაზედ, ბევრსა ნახავთ, უღონობისაგან წაქცეულს საქონელს, რომელსაც მეურმე უწყალოდ „სცემსო.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ამ გზაზედ მოსიარულეებს გამოსცხადებიათ, რომ მარხილიან იმერულ ურემს ნულარ ატარებთ, გზას აფუჭებს, ქართული დიდი ურმები შემოიღეთო.

ᲝᲝᲝ ხეიდამა გვწერენ: «აგერ ორი კვირაა მას აქედ რაც აქ სოფ. ტყარშეტში ერთი რაღაც გადამდები სნეულობა გაჩნდა, რომლისაგანაც ორი კვირის განმავლობაში (ცამეტ კომლში) თორმეტი სული გამხდარა ავად. ამათ შორის ხუთმა კიდეც იხადა ეს სნეულობა, მაგრამ შვიდი კი ისევ ავად არის.

«ნიშნები ხსენებული სნეულებისა შემდეგნი არიან: ავადმყოფს პირველად დაემართება ხოლმე თავის-ტკივილი, მერმე მისცემს სიცხეს და მომეტებულის სიცხისაგან ბოდავს.

«თუმცა ყვავილიც გვეწვია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ დავემდურებით,—ადვილად ჰხდილობენ.

«ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ამცრელიც მალე მოგვაშველეს და სადაც კი ვისმე აუცრა, ყველანი კარგად არიან. ᲐᲛᲪᲠᲔᲚᲛᲐ Გ. ᲙᲝ—ძემ ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲓ ერთი დაᲐᲨᲐᲕᲐ უნებურად. რადგანაც მარტო-ხელი კაცი ყოფილა, ამიტომ სათიბად თავის სახლში გაეშურა და შიგა-და-შიგ აუცრელები ბევრნი დასტოვა.

«ᲫᲐᲠᲒᲡ იზამდა, ვისიც ვალია, ამცრელს Გ. ᲙᲝ—ძეს მალე დააბრუნებდეს ისევ ჩვენში, დანარჩენი ბავშვების ასაცრელად, თორემ, უეჭველია, აუცრელებსაც გადაედება—აცრილებისაგან, და ვაი თუ მაშინ საქმე ცუდად დატრიალდეს»

ᲝᲝᲝ «ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡᲙᲘᲐ ᲕᲔᲓᲝᲛᲝᲡᲢᲘ» სწერენ ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ: «ჩვენს სამზღვარზედ ᲢᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲓᲐᲛ ამ უკანასკნელ ხანებში ყაჩაღები მრავალნი გადმოდიან და ცარცვენ და ხოცვენ ხალხს. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗ ᲔᲛᲢᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲢᲣᲚᲗᲘᲡᲐ და ᲧᲐᲒᲘᲖᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲡ. ᲘᲡ ᲧᲐᲩᲐᲦᲚᲝᲑᲐ უფრო იმისაგან წარმოსდგება, რომ ᲢᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მთავრობა არა ცდილობს ᲛᲐᲗᲘᲡ შელაგმას და ზოგიერთ შემთხვევებში ეხმარება კიდეც. ᲧᲐᲩᲐᲦᲔᲑᲘᲡ თავზედ ხელ-აღებულობამ აიძულა აქაური სამხედრო გუბერნატორი მიემართა რუსის კონსულისათვის ᲔᲠᲖᲔᲠᲣᲛᲨᲘ და ეთხოვნა მისთვის შუამდგომლობა ᲢᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მთავრობის წინაშე ᲯᲔᲠ არ ვიცით, იმოქმედებს კონსულის სიტყვა, თუ არა.»

ᲝᲝᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲡ» გაუგონია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს კერძო კამპანიას მისცეს ნება ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲛ შავ ზღვამდის დააწყოს მილები ნავთის გასაყვანად. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ სასარგებლოდ გადახდება ფუთზე 11 კაპ. ვინც ამ მილების გაყვანას იკისრებს, მას ნება აქვს ეს საქმე 20 წლის განმავლობაში შეასრულოს.

ᲝᲝᲝ ᲘᲛᲐᲕᲔ გაზეთს სწერენ სოფ. ხეიდამ (ᲢᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ), რომ წრეულს იქ სიმინდისა, ღომისა და ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ მოსავალს კარგს მოელიან. თუმცა ყურძნისთვის ცოტა ნაცარი შეუერია, მაგრამ მაინც კარგი მოსავალი იქნებაო, განსაკუთრებით ძალიან ასხია ერთი ჯიშის ვაზს, რომელსაც იზაბელა ჰქვიან. ამ ჯიშის ვაზი ძალიან გახშირებულია ᲑᲣᲠᲘᲐᲨᲘ; ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ არას დროს არ ᲬᲣᲮᲓᲔᲑᲐ. და კარგადაც ისხამს. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ არის ცუდი, რომ მცხოვრებელთ ჯერ არა სცოდნიათ ამ ვაზის ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡაგან ღვინის გაკეთება. ᲘᲖᲐᲑᲔᲚᲐᲡ ღვინო ცუდი იმით არის, რომ დამლევს ტანი ქავილს უწყობს და ხანდის ხანმთლად ტანზედ ზღმურღლები ასხდება. თუ რომ ამ ვაზის ღვინოს ეს ნაკლულევანება მოაშორეს, მაშინ გურულებს არამც თუ სასმელი ღვინო ექნებათ ბევრი, კიდეეაც გაჰყიდიან.

ᲝᲝᲝ «ᲠᲣᲡᲙᲘ ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘᲡ» ეკითხულობთ: დიდი ხანია ცდილობენ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ჩაის ბუჩქის მოშენებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგი არა სჩანს. ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲔᲡ, რომ ჩაის ბუჩქი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ კარგადა გვარობს, როგორც მაგ. სუხუმი და საზოგადოდ შავი ზღვის ნაპირებზედ. რამდენსამე პირს კიდეცა აქვთ ჩაის პლანტაციები და თავად მიხეილ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ (ამ ჟამად იმის მემკვიდრეებეს) ხომ 30 წლის ჩაის ბუჩქები უდგია. რომ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ჩაი იხარებს იმაში ეჭვი არ არის, მაგრამ ის-კი არ არის ჯერ გამოკვლეული—კარგი ღირსებისა იქნება ეს ჩაი თუ არა ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამეურნეო საზოგადოება სთხოვა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რომ ჩინეთიდამ დაიბაროს ჩაის მოშენების და გაკეთების სამი მცოდნე პირი და აგრეთვე ჩაის ბუჩქის თესლი. საზოგადოება უთმობს ჩინელებს ერთს დესეტინა ადგილს ჩაის მოსაშენებლად. სამინისტრომ შეიწყნარა

ლოცვასა და ვედრებასაც ამაოდ ჩაუვლია. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ მოსულა მეფის სასახლეში ერთი მაიხოვარი ბერი—ბერძენი და რა უხილავს ეს, უთქვამს მეფისათვის: თუ რაიმე მოწყალეობას მოიღებ ჩემზედ, მე მოვიტან ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲓᲐᲛ წმ. საფლავის მიწას და ვუშველი თქვენი შვილის გვამსაო: მეფეს, რასაკვირველია, ძლიერ ესიამოვნა თურმე ეს ამბავი და დაჰპირდა მრავალს საჩუქარს თუ ამას შეუსრულებდა. ᲑᲔᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ მოუტანა წმ. საფლავის მიწა და როგორც ჩაჰყარა ეს მიწა კუბოში მაშინვე მიიღო დედამიწამ მეფის ძის გვამი და განასვენა. მაშინ ადგა მეფე და დაუწერა: «რადგან შენ მაგოდენა სიკეთე მიყაეი,—მეც მიჩუქებია შენთვის ეს მონასტერი თავისის გლეხებით და ადგილებით, რათა დღეის შემდეგ სრულიად შენს მფლობელობაში იმყოფებოდეს და ვერც არავინ შეგეცილოს». ᲐᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ამ გვარად ჩავარდნია ეს ამოდენი მონასტერი და გლეხები ხელში ვილაც ბერძნების ბერებს. ᲘᲡ ხალხის გადმოცემა არის, რასაკვირველია, თორემ ამ მონასტრის ბედზე და მრავალ ამის მგზავს ჩვენი ქვეყნის ეკლესიებზედ სრულიად სხვანაირად მოგვითხრობს ძველი ცხოვრების მემატიანე.

ᲐᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ გალავანში ძველი მხოლოდ ორი შენობა არის, ისიც ქვითკირისა. ᲔᲠᲗᲘ ᲑᲘᲜᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ არხიმანდრიტებს, რომელნი აქ მდგარან და მეორეც სამრეკლოა. ᲘᲥᲕᲔ სადაც მკვდრები მარხია, ჩაყრილია საღვინე ქვევრები, რომლებშიაც მცხოვრებლებს ახლაც ღვინოები უსხიათ. ᲘᲡ ჩემის აზრით მავნებელი უნდა იყოს ადამიანის ტანის სიმრთელისათვის. ᲥᲕᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘᲕᲔ მიცვალებული უმარხია და მათგან ღვინოებს იღებენ და მიირთმევენ არხეინად, თითქო «აქ არაფერი ამბავიაო». ᲔᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ცდილობენ სასაფლაო სოფლის გარეშე იქონიონ და აქ არამც თუ სოფლის გარეშე, შუაგულ სოფელში აქვსთ და ქვევრებიც სასაფლაოში უყრიათ ღვინოებით სავსენი. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ, გარდა სამრეკლოისა, რომელიც არის ძველის უბრალო არხიტექტურისა. ᲐᲥ ᲥᲕᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲬᲔᲠᲘᲐ: «Ქ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲠᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲒᲝᲜᲔᲛᲐᲜ და ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲛᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲛᲐᲜ და ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲣᲪᲝᲓᲕᲘᲚᲔᲡᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ-ᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲡ ᲛᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐᲜ და ᲛᲔᲠᲛᲔᲗ ᲐᲛ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲛᲫᲦᲝᲚᲛᲐᲜ ᲚᲘᲮᲗ და ᲘᲛᲔᲠᲗ ᲛᲔᲤᲘᲡ-ᲫᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲗᲐᲜ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲮᲘᲚᲔ სამრეკლო ესე დარღვეული და სრულად შემუსრვად მიხწევნილი მსწრაფლ დიდის გულ-მოდგინებით ეეძიე ᲫᲐᲠᲗᲚᲡ და ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲨᲝᲕᲜᲐᲓ, მაგრამ ისე მსწრაფულ ვერსად ვპოვე ამ სამრეკლოს მეორედ გამკეთებელს შემძლებელი კალატოზი, მერმეთ ძალითა მღვთისათა და შეწეენითა ყოველად წმ. ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲑᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲐᲗᲐ თვით ვიწ ე მე არხიმადრიტმა ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲔᲚᲘᲗᲐ ჩემითა შენებად ამისა, სადღეგრძელოდ და მუდამ გასამარჯვებლად ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲘᲡ მეფის სოლომონისა და ძისა მისა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡᲗᲕᲘᲡ და მერმეთ აღმომკითხველისა ამისაგან შენდობის საბრძანებლათ სულთა ჩემთათვის და ვინც წყალობა ᲰᲥᲝᲗ და ჩემთვის შენდობა ბრძანოთ, თქვენც ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ შეგინდოსთ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝᲜᲝ ᲫᲛᲐᲜᲝ. ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘᲓᲐᲛ ᲙᲡᲞ. ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲩᲚᲣᲬᲣ: ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲥᲡ Ბ. ᲣᲯᲔ» ᲐᲛ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝᲡ უკან რამოდენიმე ნაბიჯზედ კოხტად მორთული ახალი ხის სახლია, რომელშიაც აქაურ მღვდლის შვილს Გ. Ა-ძეს სამრეველო სკოლა ᲰᲥᲝᲜᲘᲐ გამართული. ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ დაბადება ბევრს ადგილობრივ აზ-ებს არა სიამოვნებით და ადგილობრივ ბერძნის არხიმანდრიტთან დაუბეზღებიათ, რომ Ა-ძემ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ გალავანში გამართა და შეიძლება მემდეგ ამითი ალაგი დაიფლოს კიდეცაო. ᲑᲔᲠᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲪᲥᲕᲔᲢᲘᲐ და უჩივლია, სადაც ჯერ იყო, მაგრამ ამათს «ᲫᲐᲮᲘ-ᲤᲣᲮᲡ» მასწავლებელი მაინც ვერ შეუშინებიᲔ და ისევ უწინდელებურად მუყაითად ეკიდება თავის საქმეს.

ᲓᲘᲚᲘᲗ, როდესაც გამოიხედავ და უყურებ ამ სოფელში პატარ-პატარა ბიჭებს და «გოგონაებს» პარკ-გვერდზედ ჩამოკიდებულთ და ნატეხი ჭადის ყუით ხელში, სასიამოვნო სხივი გადაგირბენს პირის სახეზედ და გრძნობით სავსე სიხარული უნებლიედ შეგიპყრობს, მაგრამ ამავე დროს გული გეთუთქვის როდესაც გაგახსენდება, ზოგიერთა გაიძვერაების ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ამ პატარა და ნორჩი სკოლის წინაალმდეგ. რა შეეძინებოდათ იმ პირთ, რომელთაც სურდათ დაეხურათ ის სულიერი ტაძარი, რომლისკენაც ასე მხიარულად და ცეკვა-თამაშით მიეშურებიან ჩვენი სოფლის პატარა ბიჭებ-გოგონაები? თუმცა ძლიერ ცდილან რაიმე ეხრიკათ ამ სკოლისათვის, მაგრამ იმედია ამის მასწავლებელს ეს ვერ შეაშინებს და უფრო ენერგიით და პატიოსნურად ემსახურება თავის სასარგებლო და პატიოსნურ მოწოდებას.

თეოდ. სუსკიეაძე

იკლისის 27-ს.

საზოგადოების თხოვნა და ჩინეთში მოგზაურს დოქტორს პ. ი. პიასეცკის მიანდო ამ შემოდგომაზედ მოიყვანოს ჩინეთიდამ სამი ჩინელი, რომელთაც ჩაის მოყვანისა და გაკეთების ხელი კარგად იცოდენ.

უცხოეთი

ძველად დასაჯერებელია, მაგრამ ინგლისის გაზეთები კი დაბეჯითებით ამბობენ, ვითომ ჩინეთი თავის სამხედრო ფლოტს ამზადებს ქორეისაკენ წასასვლელად და სწადდეს იაპონიასთან კავშირის შეკვრა..

—

ბერლინიდამ იწერებიან ერთ-ერთს რუსულ გაზეთში, რომ იქაურ ბირჟაზე მეტის მეტად ცუდად უმოქმედნია ამას წინად დაყრილ ხმებს ზულფიგარის თაობაზედ. ათ თუმნიანი 204 მარკიდამ 199 ჩამოსულა. მართალია, მასუკან დამშვიდებულან და ათ თუმნიანს კიდევ აუწევია, მაგრამ დღემდის ისევ 202-ზე სდგას ეს barometri მშვიდობიანობისა.

—

ინდიის ვიცე-კოროლი უკანასკნელი ნახვის დროს პირობით შეკვრია აბდურაჰმან-ხანს, რომლის ძალითაც 120,000 გირვანქა სტერლინგის მაგიერად 250,000 გირ. სტერ. სუბსიდია უნდა ეძლიოს მას ინგლისის მთავრობისაგან.

—

უთანხმოება სუფევს საფრანგეთში რესპუბლიკელების დასში ამორჩევების გამო, მაგრამ ეს უთანხმოება არაფრად ჩაითვლება იმ შურსა და მტრობასთან, რომელსაც მონარქიელების ბანაკში დაუბუდნია. როგორც ვიცით, ბონაპარტისტებს ამ ჟამად სამი კანდიდატი ჰყავს «საიმპერატოროდ» ერთი მამა და მეორე შვილი, რომელნიც ერთმანეთს მტრად გადაჰკიდებიან და არც ერთი არაფრით არ არის შესანიშნავი. მაგრამ არანაკლები უწესოებაა ორლეანისტებსა და ბურბონისტებს შორის, რომელთაც ხუთამდე კანდიდატი ჰყავთ და ერთის მათგანის მომხრეთა რიცხვი სწორედ ოც-და-ხუთია.

რა სიკეთეს უნდა მოელოდენ ამ გვარი განაწილებისაგან საფრანგეთის მონარქიელნი?

—

ამ წვრილ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ბალკანეთის ნანგრევებზედ ფუძნდებიან, თითქო მხოლოდ ჩერნოგორია იცავდა თავის თავის თავისუფლებას და არ ემორჩილებოდა ავსტრო-უნგრიას, მაგრამ რამდენად საფუძვლიანია ეს, ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ორის წლის წინად ცეტინიეში, ჩერნოგორიის დედა-ქალაქში აპირობდენ იმისთანა ჟურნალის გამოცემას, რომელსაც თავისუფლად შესძლებოდა გამოთქმა თავის აზრებისა პოლიტიკურს საქმეებზედ. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ჩერნოგორიაში მარტო ოფიციალური გაზეთი არსებობდა ბამოცხადდა ხელის-მოწერა, თანაგრძნობით მიეგებნენ ჟურნალის გამოცემას, მაგრამ ჩერნოგორიის მთავრობამ არ მისცა ნება, — ავსტრიას არ ეწყინოსო.

ამ დღეებში კიდევ ამისთანა შემთხვევა მომხდარა. ერთს სრულიად უბრალო ჩერნოგორიელ ჟურნალში დაბეჭდილი ყოფილა ლექსი, რომელიც ავსტრიას შეეძლო თავისზედ მიელო ჩერნოგორიის მთავრობას ამ ნომრისათვის ფოსტამდეც კი არ მიუღწევინებია.

—

მახდი ნამდვილად მომკვდარა... აი იმის სიკვდილის ამბავი: იგი გამხდარა ავად, ოგბდერმანის ბანაკში ივნისის 19-ს და მაშინვე, მისის სურვილით, ბანაკზე მოშორებით კარავში დაუწვენიათ. რადგან ექიმი არსად იყო, ავადმყოფთან მიუწვევიათ ორი მისიონერი, რომელთაც ცოტა ესმოდათ წამლობისა მისიონერებს გამოეცხადებინათ, რომ მორჩენა შეუძლებელია — ავადმყოფს შავი ყვავილი სჭირსო. მახდის ამის გამო მოუწვევია თავის ძმისწული აბდულა, მიუცია თავისი ხმალი და თავის მემკვიდრედ დაუნიშნავს. შაბათ ღამეს ავადმყოფი შეწუხებულა. მოუხმია კიდევ თავისი მემკვიდრე და ხელმეორედ უთხოვნია განეგრძო წმინდა ომი გიაურების წინააღმდეგ. დილის ხუთ საათზე სული დალია, თურმე, და იმამ-ოს დამარხეს. ქარავი, რომელშიაც ვე საღამახდი მოკვდა, მაშინვე დასწვეს

სხვა და სხვა ამბავი.

პარიჟში, სხვათა შორის ერთი საკვირო გაზეთი გამოდის გლახებისათვის. ეს გაზეთი არც პოლიტიკას მისდევს, არც ლიტერატურას და მთელს თავის უურადღებას აქცევს თავის მკითხველების ინტერესებს. მისი შინაარსი ამისთანა განცხ დებებისგან შესდგება: „სვალ, შუადღისას, დამარხვენ ძალიან მდიდარს კაცს“, «დღის პირველს საათზედ წმ. საქების ეკლესიაში მდიდრული ქორწილი იქნება“, „ექიმებს ბრძანა, რომელმაც ფლეიტაზედ დაკვრა მტირედაც არის იცოდეს“, „იწვევენ დახუჭულს ზღვაში საბანაოდ“. უკანასკნელი განცხადება ხუმრობა არ არის. ზღვაში ბანაობის დროს ძალიან უსინდისოდ სცარცავენ სტუმრებს სასტუმროებში საჭმელების ძვირად გაყიდვით და ქალაქის თამაშობით. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სასტუმროების და აბანოების პატრონებმა კარგად იციან, რომ ავადმყოფები მზად არიან ბოლოს მოწყალება მისცენ და რადგანაც ოვითონ არ შეუძლიანთ მათხოვრობა, ამისათვის მთხოვრებს იწვევენ და მათს დღიურად ნაშოვნს ფულს შუა იყოფენ. ზემო-მოყვანილი განცხადებაც ამისათვის იბეჭდება მთხოვრების გაზეთში.

—

ვარშავაში გაზეთების გამყიდველმა ბიჭებმა ერთი ალიქოთი ჩააგდეს სალხში უვირიდით: „ბისმარკი მოკვდა, ბისმარკის სიკვდილი“ და სხვ გაზეთები სწრაფად იყ დებოდა, მაგრამ მყიდველებმა ამოიკითხეს რომ გერმანიის გამოჩენილი კანცლერი კი არა, ვიღაც დიმიტრი ბისმარკი მომკვდარიყო, რომელიც უბრალო მუშა ყოფილიყო ავგურსანაში.

—

ცენტლისგან დაზღვევის საზოგადოებანიც ბირველად მონტეფიორემ შეადგინა ინგლისში. სიკვდილამდის მათ ბრეზიდენტად იერიცხებოდა. მასვე ეკუთვნის გაზით ქალაქების განათების შემოღება. იგი იყო ავრეთვე ერთი უმთავრესი დამაარსებელთაგანი „ირლანდიის საბროვინციო ბანკისა“ 1825 წ.

ასეთი მოღვაწე კაცი იყო განსვენებული მინტეფიორე. იგი მარტო მატერიალურს შემწეობას არ აძლევდა გაჭირვებულთ. 1840 წელს როდოსის კუნძულზედ დიკარგა ბერძნის ბავშვი; იმავე დროს დამასკში დიკარგა კაპუცინის ბერი ტომასო და მისი მოსამსახურე. ვიღამაც დაკვდა ხმა, რომ მოხსენებულთ ბერთ დაკარგვაში ებრაელები არიან დამნაშავენიო. ქრისტიანები შეუბრალებლად მოეპყრენ ურიებს. ოსმალეთის მთავრობამ, საფრანგეთის კონსულის ჩაგონებით, რომელიც კათოლიკე იყო, დაატუსაღა მრავალი ებრაელი. მონტეფიორე გულმხურვალედ გამოესარჩლა უკანასკნელთ. ინგლისში შესდგა მიტინგი, რომელიც ებრაელებს ესარჩლებოდა. მონტეფიორე წავიდა ალექსანდრიაში და დატუსაღებული ებრაელები გამოაშვებინა სამის კარდა, რომელნიც უღმერთოდ ეწვალებინათ და დახოტლიეუნენ. ალექსანდრიიდამ სტამბოლში წავიდა და დაარწმუნა სულთანი, რომ ებრაელებს ქრისტიანის სისხლის ხმარებას ტყუილად აბრალებენო. ბევრი სხვა კეთილი საქმეებიც მოიქმედა მონტეფიორემ, რომელთა ჩამოსათვლელად ჩვენი გაზეთი ძალიან პატარაა.

—

თაგვების მოშენება ჩინეთში. ჩინელებისთვის თაგვები საუკვრელი საჭმელია ვარ-თაგვები და თაგვები ჩინეთში არამც თუ გარეულნი, მოშინაურებულნიც არიან. განსაკუთრებით თაგვების მოშენებას მისდევენ კანტონში „თაგვების ქუჩაზედ“ მცხოვრებნი; იგინი ყოველს საშუალებას ხმარობენ მოშენებისა და ჭმევის დროს, რომ თაგვების ხორცს კარგი გემო ჰქონდეს. ჩინელებს განსაკუთრებით მოხრაკული თაგვები უყვართ ზოგიერთა ადგილებში თაგვებს უმთ და მწვადსავით შემწვარსაც სჭამენ. ასალგაზდა ჩინელები ჯოხებით ნადირობენ თაგვებზედ და ოითქმის ტყვიან-ბანდიანად შესჭამენ ხოლმე.

—

მიტინგი წყალში. როდესაც დანციღში ჭურჭლის მკეთებლებმა არეულობა მოახდინეს რამდენიმე კაცმა განიზრახა ხუმად მოდაპარკება და ამისათვის ყველანი სასეირნოდ ბაღში გავიდენ; როგორც-კი შეიკრიბნენ იქა, მაშინვე პოლიცი მოვიდა; იგინი სხვა ადგილას წავიდენ,—პოლიციაც თან გაჰყვა; სასტუმროში შეკიდენ,—პოლიციაც იქ შეკიდა. მაშინ ერთმა მეჭურჭლემ სთქვა: ტანისამოსი გავიხადოთ, ვითომ ბანაობა გვინდა, წყალში შეკიდეთ და რაზედაც გვინდა, იქ ვიდაპარაკოთო. თქვეს და ასრულეს. მეჭურჭლეები ყელამდის წყალში შეკიდენ. პოლიციელებმა წყლის ნაპირს დადგენ და მათს ტანსაცმელს ეკიდენ; ბევრ ხანს ელოდენ; იმათ-კი მოიალაპარაკეს და გადაწყვეტილება დაადგინეს.

—

ინგლისში გადაიცვალა მოსე მონტეფიორე, რომელიც ამ ქვეყნის ერთი საუკეთესო მოქალაქეთაგანი იყო. მონტეფიორემ ისე დიდხანს იცოცხლა, რომ არც ერთს საუკეთესო მოღვაწე პირს იმდენი არ უცოცხლია. წარსულს წელს მთლად ევროპის მწერლობამ მიულოცა მონტეფიორეს ასი წლის სიცოცხლე, რომელიც ლაქა-მოუცხებლად განატარა და საკვსე იყო კეთილისა და კაცთ-მოყვარეულის საქმეებით. მონტეფიორე ისეთი ჭკვა-მოქმედი კაცი იყო, რომ ყველას უურადღება მიიპყრა და არამც თუ ახლანდელი მეფეები, არამედ მათი წინაპარნიც კი კარგად იცნობდენ.

მონტეფიორე დაიბადა ოქტომბრის 24-ს 1784 წელს იტალიის ქალაქს ლივორნოში, სადაც შემთხვევით მივიდენ მისნი მშობელნი ინგლისადამ. იტალიაში დღევანდლამდის არის ერთი ქალაქი, რომელსაც „მონტეფიორე“ ჰქვია და აპენინზედ მშვენიერად არის გადაჭიმული. მოსე მონტეფიორე სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ ინგლისის ჯარში შეკიდა ვოლონტერად და კაპიტნის ჩინი დიმსახურა, რის შემდეგაც იგი გამოვიდა სამსახურიდამ და ვაჭრობას მიჰყო ხელი. სახელმწიფო სამსახური ებრაელისთვის მაშინ მიუწდომელი იყო, მხოლოდ შემდეგ გაიგეს გზა ამ სამსახურში თავის პირადის ღირსებით და საკმოდ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. ტოლის შერთვამ მონტეფიორე როტშილდების გვარს დაუნათესავა. როდესაც საკმაო სარჩო შეიძინა, მან სრულიად დაუტოვა ვაჭრობა და საზოგადო მოღვაწეობას შეუდგა. მისს მოღვაწეობას ყველამ უურადღება მიაქცია; 1827 წელს ადმირალმა კარდინგტონმა მიანდო მას დიპლომატიური საქმე იტალიაში მცხოვრებ გერცოგი კლარენტის წინაშე, რომელიც შემდეგ ინგლისის კოროლი უილიამ IV შეიქმნა. მონტეფიორემ დიდებულად შეასრულა ეს მინდობილობა, რისგამოც სასახლეში ცნობილი კაცი შეიქმნა. 1837 წელს მონტეფიორე საპატიო თანამდებობაზედ ამოირჩიეს: „ლონდონისა და მიდლსექსის შერიფად. ამ დროს ინგლისის საქმეთა ტახტზედ ავიდა ახლანდელი დედოფალი ვიქტორია, რომელიც მონტეფიორეს წინადაც იცნობდა. როგორც ამ შერიფობის დროს ისე შემდეგაც, როდესაც მეორედ ამოირჩიეს კენტის საგრაფოს შერიფად, მონტეფიორემ თავი იჩინა მრავალის კეთილის საქმეებით. მისი გულ-უხვობით ყველანი სარგებლობდენ ეროვნობისა და წოდების გაურჩევლად. ყველა ეკლესიაში, მას თავის კაცი ჰყავდა, რომლის შუამავლობითაც იგი შემწეობას აძლევდა ღარიბ სალხს. არც ერთ საქველმოქმედო საქმეს ისე არ გაუვლია, რომ მონტეფიორეს მონაწილეობა არ მიეღოს. როდესაც სირიელი ქრისტიანების უბედური მდგომარეობა გამოცხადდა, რომელთაც ურწმუნონი თავს ესხმებოდენ და სტანჯავდენ, მონტეფიორე ლონდონში მოვიდა და „ტაიმსში“ დაბეჭდ

გულ-მსურვალე წერილი ქრისტიანების სასარგებლოდ; წერილმა დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზედ და მონტეფიორეს სელით სირიელებს 22,500 გირ. სტერლინგი გაეგზავნა.

ოთხივე ერთად. ერთს ბერლინელს ვაჭართან, რომელსაც ოთხი ლამაზი ქალი ჰყავდა, სშირად დაიარებოდა განათლებული, თავ-მომწონე და კარგად ჩაცმული ამერიკელი უმაწვილი კაცი. ერთს დილას ეს ახალ-გაზდა ამერიკელი მივიდა ბერლინელ ვაჭართან და უთხრა, რომ ერთ საჭირო საგანზედ მინდა მოგელაპარაკოთ; ვაჭარმა მიიღო იგი და როდესაც სასტუმროში დასხდნენ, უმაწვილმა კაცმა უთხრა: „მოწყალეო სელმწიფეო, თქვენი ქალები მე ძალიან მომწონან და გთხოვ მომათხოვო“.—როგორ! ოთხივე ერთად? ჰკითხა ქალების მამამ. ჭკვიანზედ ხომ არ შეშლილხართ?—«არა» მოწყალეო სელმწიფეო, მე სრულს გონებაზედ ვარ; მაგრამ მორმონის სარწმუნოება მიბრძანებს.“

ამ სარწმუნოების საღმი ძრაღ-ცოლობა იცის.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“

ივლისის 30-ს.

პეტერბურგი. მათნი დიდებულებანი ფინლიანდიაში ეგეოგან აღტაცებათ იქმნენ მიღებულნი. ქალაქები, სადაც კი მათ ინებეს გავლა, გაჩირაღდნებული.

ვენა. გაზეთი „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ თავადის ბისმარკისა და გრაფის კალნოკისგან ერთმანეთის ნახვა სხვას არას მოასწავებს გარდა მეგობრული კვშირის გამოცხადებისა გერმანიისა და ავსტრიის შორის.

ბერლინი. დღეს გაისსნა ხალხთა შორგბრივი სტელეგრაფო კონფერენცია. კონფერენციაში არიან 33 სახელმწიფოს და 17 ტელეგრაფის საზოგადოების წარმომადგენელნი.

ლონდონი. გლადსტონი ნორვეგიაში წავიდა სასეირნოდ.

ათინა კარნტინი დაედო ყველა ნაწარმოებს, ხმელთა-შუა ზღვაზე საფრანგეთის ნავოსაუდრებიდამ მოტანილს.

კოპენჰაგენი. აქაც დაწესდა იმ გვარაგე კარანტინი.

ლიონი. აქ მოგიდა ფერი და ხალხმ ისე ცუდად მიიღო, რომ პოლიციას უნდა გარეულიყო.

პარიჟი. შერ-ლაშეზის სასაფლაოზე გახსნეს ბლანკის შეგდი. გუშინ შეგლის გახსნის დროს წარმოითქვა სიტყვები, რომელთაც მოჰყვა კიჟანა კომუნის სადღეგრძელოდ. გამოჰფინეს აგრეთვე წითელი დროშები, მაგრამ პოლიციამ წაართვა.

ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 26.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—23 11/16 23 25/32 23 5/8
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	— 202 202 1/2 201 3/4
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე —	— 250 249 3/4
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 33 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 34 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 31 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— 5 3/4 და 6 3/4 %
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— — 99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 3/4 მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. მუ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. მუ.
მეხუთე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	— 95 1/2 მ. გაუ.
მეორე გამოც —	— 95 მ. 62 კ. მუ.
მესამე გამოც. —	— 95 მ. 62 კ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	— 218 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	212 1/2 მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— 174 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— — 43 წ. 88 მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 89 მ. გამყ.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 ჯ
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისსისა—	—1	გ.	2 1/2
მეორისა — —	—1	გ	2 ჯ
იმავე ფქვილისა თორნეში გამცხვარი:			
პირველი სარისსის	—1	გ.	4 1/2
მეორისა — —	—1	გ.	3 ჯ.
მესამისა — —	—1	გ.	2 1/2
ჯვარის-მამის პური:			
პირველის სარის დავაში	1	გ.	4 1/2
მეორის სარის. დავაში	1	გ.	3 1/2
მესამისა — —	—1	გ.	3 ჯ
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისსისა—	1	გ.	7 ჯ
მეორისა — —	—1	გ.	6 ჯ.
სუკი— — —	—1	გ.	14 ჯ
ცხვრის ხორცი—	—1	გ	8 ჯ
ღორის ხორცი:			
პირველის სარისსისა	1	გ.	
მეორისა —	—1	—	ბ

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ბ-ნ. ჩარკვიანის ძველთაგანი ფიგნის ბალახიანი

საქართველოს სიმაგლენი

ლაბიბენდა და ინდიგენა

ეგზიბენტებისა ს.-ქართველოში და ქართველები ევროპაში

ისტორიული გამოკვლევა

ნიკოლოზ ს. ბანალ-ძე გამოკვლევა.

ფასი ხუთი მაუნი. (3—1)

სამაჯრო და საკომისიოს სახლი

ვლადისლავ ვაგნერისა

ვაგონებში „ნოგა სუტ.ს“ ქუჩაზედ № 55

მიიღებს შეკვეთილს საქმეს ყოველ-გვარ ეაქროგბისა და ალებ მიცემის შესახებ მთელის იმპერიიდამ. შეკვეთილს ასრულებს ძალიან ჩქარა და მარჯვედ. მასამსჯელოს ცოტას იღებს. ვინც ისურვებს, საუკეთესო რეფერენციებს გაუგზავნიან. (6 2)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. ... ნივთები იყიდება 25% ... ფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფიდ დის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი ბირის სანანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძკეები, სამარილეები, გარჩიტის საფუსკები, ბრონზის ამოსალები, ბრონზები, კლიტეები, გასალებები, კრანტები, ალვირები, ლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სანალო მაკრატლები, ვაქრები, უოლები, წისქვილები, სერსები, ქილიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაბსიულები, საფანგები, ნიჩბები, ვატერბრუფი, სანნები, ხუფქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ქალიანი ჭურჭელი. მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დამაკიტონები, ბომბეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარგასლაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—26)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—23) ბ. ქართველიშვილი.

კომერციული კურსები

ორივე სქესის პირთათვის.

წელიწადი მეოთხე

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის პირთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (უბრალო, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ხოთქზედ, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და საომასუქო წესდებანი, 7) სუფთად და სიჩქარეზედ წერა, მსურველთათვის ფრანცუზული ენა.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დამ, ახალნი მოწაფენი მიიღებიან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება **სოლოლაკზედ, ლაბარატორიის ქუჩაზედ ივანე ყოროლანოვის სახლში № 11.** პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ და ტერ-სარქისიანის საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. ძალაქ გარეშე მცხოვრებთ ეთხოვთ მიმართონ წერილით კურსების დამაარსებელს **ს. მანუელიანცს.**

(8—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი